



„ყიფვიკალაზი“  
მორატორიუმის  
გამოსხადებას ითხოვან  
A2



სარეკლამო  
1000 უსინათლოს  
A2



პოლიტიკურ-სპორტული  
დიალოგი  
A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 23 ივნისი, 2006 წელი, №138 (1290)

ფასი 50 თეთრი

**24 საათი**  
"24 საათის"  
ელექტრონული ვერსია  
იხილეთ Web-გვერდზე  
[www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

"ოლიმპიური  
პარასკევის"  
სტარტი  
  
C2

**ახბები**  
ხელისუფლება  
„სარეკლამო  
გამოსხადების“  
შეზღუდვა  
A2

**პოლიტიკა**  
ბრუნდებიდან  
ცხინვალამდე  
A3

"საქართველოს ტერიტორიაზე მომ-  
ხმარებლეთა ნაღდი ფულით ანგა-  
რისონორებისას გამოსაყენებელი  
საკონტროლო საღარი აპარატების  
სახელმწიფო რეესტრში" დამატებ-  
ით შეტანილია ფისკალური პრინტი-  
რის საკონტროლო საღარი აპარა-  
ტების შემდეგი მოდელები:  
"SLP-01F", "კასი-02ფ" და  
"მეკური-180ფ"  
(საგადასახადო დეპარტამენტის თა-  
ვმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის  
№610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძა-  
ნებები).  
საქართველოს ფინანსთა  
სამინისტროს  
საგადასახადო დეპარტამენტი

საერთაშორისო იურიდიული  
ოფისი "გაპი" სტრასბურგის  
ადამიანის უფლებათა  
ევროპის სასამართლოში  
კლიენტთა ინტერესების  
დაცვას ახორციელებს  
თავისი წარმომადგენელით  
საფრანგეთში.

**აინდი**

	23/06	24/06
თბილისი	34 ☀	36 ☀
ბათუმი	32 ☀	33 ☁
სოხუმი	31 ☀	31 ☀
ქუთაისი	35 ☀	37 ☁
გორი	31 ☀	33 ☀
ონი	26 ☀	29 ☀
ზუგდიდი	34 ☀	35 ☀
ახმეტა	33 ☀	36 ☀
სამტრედი	35 ☀	37 ☀

**უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კურსი  
ლართან მიმართებაში**

აშშ დოლარი	1. 7750
ევრო	2. 2434
ბირჟაზე სტარტ.	3. 2669
რუბლი	0. 0658

**ახბები**

ახბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რეკლამა	A 5
ტანდარი	A 6
ტანდარი	A 7
სხვადასხვა	A 8

## დასავლეთი VS აღმოსავლეთი

გეოპოლიტიკური ძვრების პერსპექტივები ევროპულ-ამერიკულ შეხვედრაზე

ნიკა თარაშვილი

აშშ-ევროკავშირის  
ლიდერების შეხვედრა  
აუსტრიის დედაქალაქში სულ  
რომ უშედეგოდ  
დასრულდა, იმით მაინც  
იქნებოდა მნიშვნელოვანი,  
რომ სანკტ-პეტერბურგში  
დაგეგმილ „დიდ რეინამდე“  
ჩატარდა. რასაკვირველია,  
ამერიკის პრეზიდენტსა და  
ევროკავშირის  
ხელმძღვანელებს კვლავაც  
საკმაოდ ბევრი საკითხი აქვთ  
შესათანავებელი, მაგრამ  
ოთხშაბათს ჰოვბურგის  
სასახლეში ხელმოწერილი  
ერთობლივი  
დეკლარაციიდანაც ამ კარაა,  
რომ რაც საკითხთა შესახებ  
მოსაზრებების განხილვებზე  
მეტად, მათ საერთო  
საზრუნავი - პუტინის რუსეთი  
და მისი „მეგობრები“  
(ირანი, ჩინეთი, პამასი,  
ლუკაშენკო და ა.შ.) აწუხებთ.

ბაზრქადაბა A3 ბაზრქადა



ამერიკისა და ევროპის დაახლოებაში მნიშვნელოვანი 'შვლილი' რუსეთს მიუძღვის

## კოვზოი კოსმოსიდან



ემოციური განმუხტვა.

## რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" "ზაბიანით" ჩანაცვლებას ცდილობენ

**B**  
გაზეთ "კომერსანტის"  
ცნობით, კომპანია  
"სოლარის-აქვა" რუსულ  
ბაზარზე მინერალური  
წყლის "ზაბიანის" შეტანაზე  
მუშაობს. კომპანია,  
რომელიც მოსკოვშია  
რეგისტრირებული და  
სასმელი და მინერალური  
წყლის წარმოება-  
რეალიზაციით არის  
დაკავებული, იყენებს  
მარკეტინგის ე.წ.  
პარტიზანულ სტრატეგიას -  
"ზაბიანის" ახალი ეტიკეტი  
"ბორჯომის" ეტიკეტს  
იმორჩევს.



## პასუხისმგებლობის საკითხი

პრიორიტეტი ქართული მხარისათვის

ქართული მხარე ოსური მხარისაგან ქართულ-ოსური კონფლიქტის  
ზონაში კრიმინოგენული სიტუაციის მოქსერეგებაზე პასუხისმგებელი  
პირის გამოყოფას მოითხოვს. კონფლიქტის ზონაში ყველა ქართველი  
ქალაქის მოქმედებაზე კი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე  
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი იღებს.

დიმიტრი ავალიანი

საქართველოსა და თვითგა-  
მოცხადებული სამხრეთ ოსეთის  
შინაგან საქმეთა მინისტრები გუ-  
შინ ცხინვალში გამართულ შე-  
ხვედრაზე თანამშრომლობაზე შე-  
თანხმდნენ. ხელმოწერილი ოქ-  
მისა და ურთიერთობაზედგების  
მიუხედავად, მხარეებმა რეგიონ-  
ში დაძაბულობის მოხსნის კონკ-  
რეტული გეგმები დასახეს. შერე-  
ული საკონტროლო კომისიის თა-  
ნათავმჯდომარეების გადაწყვე-  
ტილებით კი, კომისიის მორიგი  
ხსენება თბილისში გაიმართება.  
ვანო მერაბიშვილისა და მიხა-  
ილ მინაგავის შეხვედრა კონფ-  
ლიქტის ზონაში მოქმედი შერეუ-  
ლი საკონტროლო კომისიის თანა-  
თავმჯდომარეების გუშინდელი  
შეხვედრის ფარგლებში შედგა,

რომელსაც საქართველოს მხრი-  
დან კომისიის თანათავმჯდომარ-  
ე, სახელმწიფო მინისტრი კონფ-  
ლიქტების მონესრიგების სა-  
კითხებში გიორგი ხაინდრავა ესწ-  
რებოდა.

"მინისტრები შერეული სა-  
კონტროლო ცენტრის ამოქ-  
მედებაზე შეთანხმდნენ, რო-  
მელსაც დაევალება მართლმე-  
რიგის დაცვა და თანამშრომლო-  
ბის კოორდინაცია სამართალ-  
დამცველებს შორის," - განაცხა-  
და "24 საათთან" საუბარში გიორ-  
გი ხაინდრავა. შერეული საკო-  
ორდინაციო ცენტრის ფარგლებ-  
ში შეხვედრები ყოველთვიურად  
გაიმართება, მოხდება ოპერატიუ-  
ლი ინფორმაციის გაცვლა მხარე-  
ების სამართალდამცავ უწყებებს  
შორის.

ბაზრქადაბა A3 ბაზრქადა

## წინვლა დასავლეთით

უმაღლეს რადაში  
„ნარინჯისფერი“ კოალიცია ჩნდება

სამუნა ბაბიძე

უკრაინის საკანონმდებლო  
ორგანოში სამმა პოლიტიკურმა  
პარტიამ, რომლებიც „ნარინჯის-  
ფერი“ რევოლუციის დროს მო-  
კავშირები იყვნენ, მმართველი  
კოალიციის ფორმირების შესახებ  
გააკეთა განცხადება. „ბი-ბი-სი“-ს  
ინფორმაციით, კოალიციურ შე-  
თანხმებას ხელი 239 დეპუტატმა  
მოაწერა, კერძოდ, იულია ტიმო-  
შენკოს ბლოკის, საპრეზიდენტო  
პარტიის „ნაშა უკრაინისა“ და სო-  
ციალისტური პარტიის წევრებმა.  
განხილვებულ მონაცემებზე  
საუბრობენ იულია ტიმოშენკო  
(მისი თქმით, ხელი 243 დეპუტატ-  
მა მოაწერა შეთანხმებას) და „მე-  
ხუთე ტელეარხი“ (რომლის ინ-  
ფორმაციით, ხელი მხოლოდ 240  
დეპუტატს აქვს მონერილი შე-  
თანხმებაზე). უმაღლეს რადაში კი  
გადაწყვეტილების მიღებისთვის  
450 დეპუტატიდან 226 პარლამენ-  
ტარის თანხმობა საჭირო.  
„ნარინჯისფერი“ საპარლა-  
მენტო უმრავლესობის ფორმირე-  
ბის შესახებ ინიციატივით სესიის  
დასაწყისში იულია ტიმოშენკო  
გამოვიდა.

„მაქვს პატივი გამცნოთ ის სი-  
ახლე, რომელსაც ქვეყანა დიდი  
ხანია ულის. დღეს ჩვენ ვინყვით  
ბრძოლას იმისთვის, რომ ქვეყანა  
მართლა დაადგეს დემოკრატიის  
გზას, გაინმინდოს აბსოლუტურ-  
ად კორუფციის სიბრძნისგან,  
რათა გვეამაყებოდეს ჩვენი უკრა-  
ინა. ეს ჩვენი წინაპრების სანუკუა-  
რი ოცნებაც იყო, რომლებიც თა-  
ვისუფლებისთვის იბრძოდნენ.“ -  
განაცხადა იულია ტიმოშენკომ.

როგორც ცნობილია, „ნარინ-  
ჯისფერი“ კოალიციის ფორმირე-  
ბის შესახებ მწვავე დებატები ჯერ  
კიდევ მიმდინარე წლის მარტი  
დღიდან რადაში არჩევნების პარა-  
ლელურად. თუმცა, ეს მხოლოდ  
ოფიციალური ვერსიაა ქვეყნის  
შიდაპოლიტიკური დაპირისპირე-  
ბის ასახვად, არაოფიციალუ-  
რი ვერსიით კი, ქვეყანაში შექმნი-  
ლი არასტაბილური პოლიტიკური  
მდგომარეობა სანკტ-პეტერბურ-  
გში დაგეგმილი „დიდი რეინის“  
სამიტისთვის აშშ-ს პრეზიდენტის  
ჯორჯ ბუშის მოსლოდნელ ვი-  
ზიტსაც უკავშირდებოდა. აშშ-ს  
პრეზიდენტმა კი უკრაინაში ჩასე-  
ლს უნგრეთში ვიზიტი ამჯობინა.

ბაზრქადაბა A3 ბაზრქადა

## დაზარალებულისა და ზრალდებულის როლები შეიცვალა

სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან“, თვენახევრის წინ მომხდარი  
ინციდენტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე  
რადიკალურად შეიცვალა - გამოძიებამ ინციდენტში აქამდე  
დაზარალებულად ცნობილისა და ბრალდებულად გამოცხადებულის  
სტატუსები შეცვალა.

საუბარია ურთიერთშეღება-  
რაკების ნიადაგზე მომხდარი ორ-  
მხრივი სროლის შედეგად მძიმედ  
დაჭრილ ნოშრევან ნამორაძესა  
და დავით კურცხალიაზე, რომლე-  
ბიც საავადმყოფოში მოათავსეს.  
შეგახსენებთ, რომ „ბიგ-ბენთან“  
მომხდარი კონფლიქტის თავდაზე  
სამართალდამცველები თავდა-  
პირველად არანაირ კომენტარს  
არ აკეთებდნენ და აცხადებდნენ,  
რომ მომხდარს მონაწილე არ ჰყავ-  
და. მოგვიანებით კი ცნობილი  
გახდა, რომ გამოძიებამ საქმეში  
ექვშეტიანი ნამორაძე ნამო-  
რაძე ცნო და, შესაბამისად, პრო-  
კურატურის მოთხოვნით, სასა-  
მართლომ მას წინასწარი ორთვი-  
ანი პატიმრობა, განზრახ მკვლე-  
ლობის მცდელობის მუხლით, სასა-  
ვადმყოფოშივე შეუფარდა.  
მთელი ამ ხნის განმავლობაში  
ნამორაძე ნამორაძე საავადმყო-

ფოში მკურნალობას ბადრავის  
მეთვალყურეობის ქვეშ გადიოდა.  
გუშინ მას ბრალდებულის სტა-  
ტუსთან ერთად ბადრავიც მოუხ-  
სნეს. სამაგიეროდ, გამოძიებამ  
მკვლელობის მცდელობაში  
ბრალდებულად აქამდე დაზარა-  
ლებულად ცნობილი დავით კურ-  
ცხალია გამოაცხადა.

სხვათა შორის, ნამორაძის ინ-  
ტერესების დამცველი ეკა ბეი-  
ლია თავიდანვე ირწმუნებოდა,  
რომ პროკურატურამ ნამორაძეს  
უსაფუძვლოდ წარუდგინა ბრალ-  
დება. „ამ ინციდენტის გამო,  
ნამორაძე ნამორაძე თავად არის  
დაზარალებული. თუმცა, რო-  
გორც ჩანს, ყოფილ პოლიციელს  
დავით კურცხალიას ჰყავს საკ-  
მაოდ გავლენიანი მფარველები“ -  
აცხადებდა ადვოკატი.

ბაზრქადაბა A4 ბაზრქადა







# კოვზორი კოსმოსიდან

### გუმინ „ჯემროქუაის“ კონცერტზე ვიყავი

ნა ვაკაძე

ჯეი კეიმ ერთხელ თქვა: მე ნავალ საქართველოში და თბილისში კონცერტს ჩავატარებ, ქართული მსმენელისთვის დღესასწაულს მოვანახლებ, მოვასმენინებ მუსიკას, რომლის რიტმებზეც მსოფლიო როკავს, ჩემი მუსიკოსები სცენაზე არნახულ სანახაობას გამართავენ, მე კი ვიმღერებ, უცნაურ მოძრაობებს გააკეთებ და ამ ორ საათს ყველას სამუდამოდ დაგამახსოვრებ.

„ჯემროქუაიმ“ თბილისური კონცერტი, ბისზე გამოსვლის შემდეგ, თავისი ყველაზე მძიმე კომპოზიციით Deeper Underground-ით დაასრულა. მანამდე კი, მთელი ორი საათის განმავლობაში, მუსიკით შეპყრობილი პატარა კაცის მუზიკორებით მოჯადოებული დარბაზი ბრძოლაში გამარჯვებული იროკუზების მსგავს რიტუალურ მოძრაობებს აკეთებდა და ველური ყიფინით მოითხოვდა სცენიდან მუსიკის მეტი დონის გამოშვებას.

მუსიკა კი საკმარისზე მეტი იყო - მეტი, რადგან ქართველ მსმენელს ჯერ არ გამოუშვავებია ასეთი ხელოვნების მიღების, გადამუშავებისა და შერგების იმუნიტეტი. თუმცა „ჯემროქუაიმ“ მაინც არ „დაგვიწოდო“ და თავისი მუსიკალური მანქანა მაქსიმალური დატვირთვით აამუშავა, ხელისგულივით გადმოვიშალა საკუთარი ხელოვნება და ინექციის გაკეთებაც თავად იტვირთა.

მე არასდროს მინახავს ასეთი თავგანწირული გამოსვლა. ჯეი-სონ კეი, ადამიანი, რომელსაც ყველაფერი აქვს რასაც ისურვებს, ვისთვისაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ათასობით ფანი ნებისმიერი გიჟური საქციელისთვის მზადაა, იდეა ქართველი მსმენელის წინაშე და ისე მღეროდა, თითქოს ეს მისი უკანასკნელი სიმღერა იყო.



საქართველოში, თბილისი

ეს არის ვარსკვლავი, კოსმოსიდან ჩამოსული, გნებავთ კოვზორი, გნებავთ, უცხოვლანეტელი, ბუ-ფალოს ხარი ან გამოგონილი პერ-სონაჟი. ეს არის სწორედ ის, რასაც მილიონობით მსმენელის უმართავი სიყვარული, უსაზღვრო პოპულარობა, მილიონები, პრესტიჟული მანქანები და მარადიულობა მოაქვს. ეს არის ვარსკვლავი, რომელსაც ათასობით მსმენელის წინაშე ისე შეუძლია გამოსვლა, რომ თითოეულს აფიქრებინოს, თითქოს მხოლოდ მისთვის მღერის და მას უყურებს. მე მიყურებდა...

„მე ილბიანი ადამიანი ვარ, რასაც ბევრი მოკვებულა. საკმაოდ მძიმე ბავშვობა მქონდა, თუმცა მუსიკის წყალობით ყველა სიმწიფის გადალახვა შეუძელი და დღეს თავადაც ხედავთ, რას მივალნი. დედა მუსიკოსი მყავდა და ის დამეხმარა არჩევნის გაკეთებაში“, - კონცერტის წინა პრეს-კონფერენციაზე ჯეი კეი გულახვილიდობის ხასიათზე დგება და არც იმას მალავს, რომ საქართველოში გამომგზავრებამდე ჩვენი ქვეყანის შესახებ ბევრი რამ იცოდა: „ინგლისში ქართველი მეგობარი მყავს. იგი ხშირად მიყვებოდა ამ ქვეყნის შესახებ, ხოლო გამომგზავრებამდე მითხრა, ჩახვალ და თავად ნახავ როგორი ქვეყანაა. მხოლოდ ორი დღეა აქ ვარ და უკვე მოვასწარი თქვენი გაცნობა. ქართული სამზარეულო კი, ოოოო, ეს ფანტასტიკაა. ასევე გოგონებიც... ახლა თავისუფალი ვარ და იქნებ ქართველი ცოლიც შევირთო“, - ჯეი კეი კარგი სტუმარია და იცის, როგორ უნდა გადინახოს მადლობა...  
საუბრობს თავის ინტერესებზე - ამჯერად მანქანების შესახებ არაფერი უთქვამს, თუმცა ფეხბურთის თემას გვერდი ვერ აუქცია: „გაოგნებული ვარ, როგორ ვერ მოუგო ინგლისის ნაკრებმა შედეგი. უკანასკნელ ზუთ ნუთში დაეთმეთ გამარჯვება. თუმცა არა უშავს, დედა ინგლისელი მყავს, მამა - პორტუგალიელი, ასე რომ, თუ ინგლისს არ გაუმართლებს, პორტუგალიასაც შემიძლია ვუგულუშებო“.

კიდევ ერთი თემა, რომელზეც აქცენტს აკეთებს, პოლიტიკაა: „ვერ ვიტან ამერიკას და მის პოლიტიკას. ბუშის ნებისმიერი ნაბიჯი ჩემთვის მიუღებელია. ამიტომ ჩემს სიმღერებში ხშირია პოლიტიკური მინიშნებები“. თავისუფალ დროს კი მთვებში ატარებს, რადგან ძალიან უყვარს თოვლი. ჰყავს ბევრი ძალი და სურს კავკასიური ნავაზი იყოლოს.

ნავაზი ვერა, მაგრამ საჩუქრად მისთვის საინტერესო სხვა რამ მიიღო. ცნობილია ქართველმა დიზაინერმა ნინი კეიმ, რომელიც ამერიკაში მუშაობს, მას ორი ქუდი გადასცა, რომლებიც იქვე ჩვენს წინაშე მორგო. „ამჟამად დაახლოებით 70 ქუდი მაქვს, თან მხოლოდ ორი ჩამოვიტანე. ეს ქუდეები ჩემს კოლექციას შეავსებენ“.

კონცერტზე კი მიმდინარე ტურნეს სიმბოლო - ინდიელების სტილიზებული, ელვარე „ბუმბული“ განყოფილი ქუდი ეხურა... და იცით, როგორ მღეროდაა!

# ამერიკული კინოს სიზოლო

ამერიკის ეპოქალურ რეჟისორს ბილი უაილდერს დღეს 100 წელი შეუსრულდებოდა. მისი ფილმები არა მხოლოდ ამერიკული კინოს კლასიკადა აღიარებული, არამედ ჰოლოდუის სიმბოლოდაც იქცა.

ბილი უაილდერი კინოში ურნალისტიკიდან მოვიდა. იგი ვენისა და ბერლინის გაზეთებში მუშაობდა, შემდეგ კი სცენარების წერა დაიწყო. ომის პერიოდში ამერიკაში გაიქცა და მაშინვე „პოლი-ვუდს“ მიაშურა და რეჟისორი გახდა. როგორც შემდეგ აღიარა, არ სურდა, რომ მისი სცენარი სხვას გადაეღო და ტექსტი დაემაზინებინა და რეჟისორობაც ამიტომ გადაწყვიტა.

მისმა არჩევანმა გაამართლა. კარიერის განმავლობაში „ოსკარის“ 15 ნომინაცია და 6 პრიზი მიიღო. სწორედ უაილდერს მიანერნე ყველაზე ეროტიკული სცენის ავტორობას. ალბათ გახსოვთ სცენა, როდესაც მერლინ მონრო ფილმში „ზოგს ცხელი უყვარს“ (საქართველოში აჩვენებდნენ სათაურით - „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“) ისე ცვაკავს, რომ სამოსის ერთ დეტალსაც არ იხდის, მაგრამ მაინც საოცრად ეროტიკულია. ეს ფილმი ჰოლოდუის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მუსიკალურ კომედიადაც მიიჩნევა.

ბილი უაილდერის ფილმებში თამაშობდნენ ოდრი ჰეპბერნი, მარლინ მაკლეინი, გლორია სტონ-სონი და რა თქმა უნდა მერლინ მონრო. ასეთ სამახიობო შემადგენლობასთან მუშაობის ბედნიერება კი მხოლოდ რჩეულებს აქვთ.



სხვათა შორის, ბილი უაილდერს ამერიკელები გადაემეტებულ ცინიზმშიც ადასმალულებდნენ, რადგან საკუთარ პერსონალებს ხშირად აშარებდა. თავად

კი ამ მოვლენას სხვაგვარად აფასებდა და მიიჩნევდა, რომ მისი ფილმების პერსონალები არ იყვნენ გმირები და მათზე ირონია დასახვეები იყო.

# კიდევ ერთი ბავშვი

ცნობილი ამერიკელი კინოსახიობი ანჯელინა ჯოლი კიდევ ერთი ბავშვის შვილად აყვანას აპირებს. მისი ბიოლოგიური ქალშვილი, შილო ნუველი, ჯერ ერთი თვისადაც არ არის, მსახიობი კი არჩევს ქვეყანას, საიდანაც

კიდევ ერთი პატარა უნდა იშვილოს. ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტს უკვე ჰყავთ ორი აყვანილი ბავშვი - კამბოჯელი ბიჭუნა მელოს ჩივანი და ეთიოპიელი გოგონა ზაპარა მარლი.

„თუ რომელი ქვეყნის, რომელი რასისა და სქესის ბავშვს ვიმშობილებ, ჩვენს შვილებზეც არის დამოკიდებული. მათ ინტერესებს აუცილებლად გაგიფიქრებინებთ“, - განაცხადა ჯოლიმ.

ჯეი-იენი

**Chevrolet plus ავთილია იაფაყო მისით**

თქვენ იაფაყავთ თქვენი ახალი CHEVROLET AVEO - თი, ის ყოველთვის მიიპყრობს სხვების ყურადღებას.

**Aveo**

შეიქმნა ოჯახის ახალი წევრი CHEVROLET AVEO ახალი თბილისში. მოგზიბავალი დონის მქონე, პრანსიბული და აკონომიური საღანი, რომელსაც ყველაფერი აქვს, რასაც თქვენ ავტომობილისგან მოალოდით, მისი ფასი კი, \$ 9800 - დან იწყება.

CHEVROLET. 36 დიდი კლინიკა.

თბილისში, დონის მქონე, აქვს ყველაფერი, რაც თქვენთვის საჭიროა. მისი მისამართი: თბილისი, დონის მქონე, აქვს ყველაფერი, რაც თქვენთვის საჭიროა. მისი მისამართი: თბილისი, დონის მქონე, აქვს ყველაფერი, რაც თქვენთვის საჭიროა.

**ავიაკომპანია "არკია ისრაელის ავიახაზები"**

ავიაკომპანია რეგულარულ რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს თბილისი - თელ-ავივი

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40  
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25

განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე. გაგრძელდება მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია: 275 აშშ დოლარი (ერთი გზა) 349 აშშ დოლარი (ორი გზა)

თანამედროვე საავტომობილო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აერო-პორტის მოსაკრებლებს. ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე. აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

ქ. თბილისი, კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99 e-mail: mail@arkia.ge

**მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფა, ნაკლები ფასი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა (დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ N21) აცხადებს ტენდერს ხელვაჩაურის რაიონში (დაბა ხელვაჩაურის, დაბა მახინჯაურის, ურეხის, ორთაბათუმის, კახაბრის, ახალმენის, თხილნარის თემის საკრებულოებში) წყალმომარაგების სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იურდიულ და ფიზიკურ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ლოტებად:

ლოტი N1 წყალმომარაგების ქაბურღილების სისტემით მოწყობა დაბა ხელვაჩაურში, სოფ. ზანაქიძეებში და სოფ. მეჯინისწყალში.

ლოტი N2 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. ქარნალში და სოფ. მურმანეთში.

ლოტი N3 წყალმომარაგების მოწყობა სოფ. ახალმენის ცენტრიდან სოფ. სამებაზე, სოფ. ახალმენის ცენტრის წყალმომარაგების სათავე ნაკვობის რეაბილიტაცია, სოფ. ახალმენის ცენტრი - სოფ. განახლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. სამებაში. წყალმომარაგების მიღების შეცვლა და შეკეთება სოფ. წინსვლაში და სოფ. აგარაში.

ლოტი N4 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. მახინჯაურში და სოფ. განთაბაში.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 13 ივლისის 10 საათიდან 2006 წლის 14 ივლისის

17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. N21. III-ე საათული, სატენდერო კომისიის აპარტი

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მონომობის ასლი);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინვესტიციიდან)
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის, გაკორტების და სანაციის საქმისწარმოება რომ არ მიმდინარეობს (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან)
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკორტების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსტრუქციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).
- 5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლება 2006 წლის 12 ივლისის ჩათვლით 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშსზე: მიმღები- ს.ს. სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი, ბანკის კოდი 220101457, ხელვაჩაურის რაიონის საფინანსო სამსახურის სპეც ანგარიში, ანგარიშის N33060001, საიდენტიფიკაციო კოდი 248385117.
- 6. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.
- 7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მანგელიძე ტ. 4 10 30, 7 62 93, 8(93) 35 72 14 მისამართზე: დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ. N21.

საქართველო კომისია

# ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- შპს "ენგურჰესი", ს/მ - ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერძნეთი აცხადებს ტენდერს ჰიდროაგრეგატზე მომსახურების განევაზე (ერთი, N2 ჰიდროაგრეგატის ანევაზე) და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- მომსახურების განევის ადგილია შპს "ენგურჰესი", გალის რ-ნი დას. საბერძნეთი.
- მომსახურების განევის საველდებულო ვადაა ხელშეკრულების დადებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.
- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი დახურულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ივლისის 15 სა-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სართული, ენგურ-ჰესის ოფისი. პაკეტი გაიხსნება იმავე დღეს, იგივე მისამართზე დაინტერესებულ პირთა თანდასწრებით წარდგენის ვადის დამთავრებისთანავე.
- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
  1. ოურიდიულ პირთათვის:
    - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
    - ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონა-

- წილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია:
- ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება;
  - ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
  - გ) ცნობა მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ;
  - დ) ცნობა ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში.
  - ე) ინფორმაციას მის ხელთ არსებული სარემონტო სამუშაოების და ტენიკის შესახებ.
- 5.2. ფიზიკური პირისათვის (ინდ. მენარმე).
- ა) შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
  - ბ) ცნობა ანალოგიური საქმიანობის შესახებ ბოლო 5 წლის განმავლობაში
  - გ) ცნობა იურიდიულ სატესტის შესახებ.
6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 89, მე-3 სარ-

თული, ენგურჰესის ოფისში. სატენდერო მოსაკრებლის ჩარიცხვა უნდა მოხდეს A შემდეგ რეკვიზიტებზე:  
**შპს "ენგურჰესი" ქუთაისის პროკლეტ ბანკის ზუგდიდის ფილიალი**  
 ს/კოდი 251716371 ა/ა 301467126 ბ/კ 220101929  
 7. ტენდერის სამუშაოებში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.  
 8. იმ პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები და დოკუმენტაცია, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო განცხადების მოთხოვნებთან, იქნება დისკვალიფიცირებული.  
 9. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.  
 10. წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირების ხელმძღვანელის მიერ. ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.  
 11. დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებული პირები უნდა დაუკავშირდნენ შპს "ენგურჰესის" შესყიდვების სამსახურს ტ/ფ. (215) 301 80.

სატენდერო კომისია

## 20 ივნისის გამოქვეყნებული ტენდერის განცხადების შესწორებული ვარიანტი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ლია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს შესყიდვის ობიექტი --- კომპიუტერული ტექნიკა. დაფინანსების წყარო--- სექსასსრები.

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებელი	რაოდენობა
1.	პერსონალური კომპიუტერი	P4 LGA 775 / Celeron 2.5 / HDD 40 GB / RAM 256 Mb / SVGA 64 Mb / CD-RW-DVD / FDD / Mouse optical / Keyboard / Monitor 17"	80
2.	პერსონალური კომპიუტერი	P4 LGA 775 / P IV 3.0E / HDD 120 GB / RAM 2*512 Mb / SVGA 256 Mb / CD-RW / DVD / FDD / Mouse optical / Keyboard / Monitor 17"	20
3.	საბეჭდი მოწყობილობა	LaserJet / A4 30ppm 1200 dpi	40
4.	უწყვეტი დენის წყარო	1000 VA / 230 V	50
5.	ასურადამლები	16ppm A4.A3zoom 50-20 10000p/month	10
6.	დენის გამართველი	1კვტ	30

1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინაშე გაუწიოს მის მიერ მიწოდებული ტექნიკის საგარანტიო მომსახურება , ერთი წლის ვადით.
2. საგარანტიო მომსახურება ხორციელდება შემსყიდველის ტერიტორიაზე მიწოდებლის მიერ მივლინებული სპეციალისტების მიერ. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები:
  - იურიდიული და ფიზიკური პირისათვის:
    - ცნობა რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა(საჯარო რესტრიდან)
  - ცნობა რომ ბიუჯეტის მიმართ არ არის დავალიანება(საგადასახადო ინსპექციიდან).
  - ცნობა რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება

- (ცნობა სასამართლოდან).
- ტენდერში მონაწილეობის მსურველის პირის რეკვიზიტები, ( მისამართი,ტელეფონი,ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტები.) საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე : ქუთაისი თამარმეფის № 59 მე-3-ე კორპუსი კაბ.№112 სახელმწიფო შესყიდვების სექტორი 2006 წლის 10 ივლის 13 საათამდე.
- წარმოდგენილი საკვალიფიკაციო და სატენდერო წინადადებების პაკეტის გახსნა მოხდება 2006 წლის 10 ივლის 14 საათზე
- მისამართზე :აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი III კორპუსი №112
- იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ცნობებს.
- დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200(ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი "თი-ბი-სი" ბანკის ქუთაისის განყოფილება ანგ№340801002 ს.კ 212693049 ბანკის კოდი 220101888 . დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებიდან:
- 1.სატენდერო კომისის თავმჯდომარე სოხაძე ზაზა ტ-4-53-45
  2. ფოფხაძე გოგი ტ-4-31-85
  3. შენგელია ოთარი ტ-4-29-93
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი თამარმეფის №59 ტ-- 8231--4-48-29. 8231-4-31-85. 8231--4-4-53--45
- შესწორებული ვარიანტი 20 ივნის გამოქვეყნებული ტენდერის განცხადების**
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ლია ტენდერს ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- შესყიდვის ობიექტი: ბიბლიოთეკის შენობის ფუნდამენტის გამაგრება და რეაბილიტაცია. დაფინანსების წყარო --- სექსასსრები. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები: იურიდიული პირისათვის:

# ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ოზურგეთის რაიონის გამგეობა, მისამართი: ქ. ოზურგეთი მერაბ კოსტავას ქუჩა N1, აცხადებს ტენდერს ქ. ოზურგეთის გაზომიარაგების საშუალო და დაბალი წნევის განაღების ქსელის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და ინვესტ მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
2. სამუშაოთა შესრულების საველდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ოთხი თვის განმავლობაში.
3. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 23 ივნისის 10 საათიდან 2006 წლის 17 ივლისის 14 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1 , ოზურგეთის რაიონის გამგეობა.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
  1. იურიდიული პირისათვის:
    - ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);
    - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
    - გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
    - დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ფ) ფიზიკური პირისათვის:
  - ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითურწარაინაია;
  - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
  - ა) ინფორმაცია სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ;
  - ბ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებული ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.
  - გ) ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიში დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);
  - დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
  - ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
  5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს სამუშაოების შესრულების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.
  6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვა-

ნელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ, 2006 წლის 17 ივლისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1, ოზურგეთის რაიონის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატში.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებამდე.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტის განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 ივლისის 14 საათზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, დაგვიანებით შემოსული პაკეტები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - გიორგი ტაკიძისაგან, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1, ოზურგეთის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8296) 7-60-07.

სატენდერო კომისია

# ბანცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ოზურგეთის რაიონის გამგეობა, მისამართი: ქ. ოზურგეთი მერაბ კოსტავას ქუჩა N1, აცხადებს ტენდერს ქ. ოზურგეთის ქუჩების ასფალტობებტონის საფარის აღდგენისა და ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვაზე და ინვესტ მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. შესყიდვის ობიექტის კონკრეტული პარამეტრები მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.
2. სამუშაოთა შესრულების საველდებულო ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის განმავლობაში.
3. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 23 ივნისის 10 საათიდან 2006 წლის 18 ივლისის 14 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1 , ოზურგეთის რაიონის გამგეობა.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
  1. იურიდიული პირისათვის:
    - ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);
    - ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
    - გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
    - დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- 4.2. ფიზიკური პირისათვის:
  - ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითურწარაინაია;
  - ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- 4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
  - ა) ინფორმაცია სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ;
  - ბ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებული ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ.
  - გ) ბოლო 2 (ორი) წლის ფინანსური ანგარიში დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);
  - დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
  - ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
  5. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს სამუშაოების შესრულების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.
  6. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით, ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) სატენდერო კომისიის აპარატში, ხელმძღვა-

ნელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ, 2006 წლის 18 ივლისის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1, ოზურგეთის რაიონის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატში.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებამდე.

8. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოწერილი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

9. პრეტენდენტის განაცხადის, საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 18 ივლისის 14 საათზე.

10. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება, დაგვიანებით შემოსული პაკეტები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - გიორგი ტაკიძისაგან, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მერაბ კოსტავას ქუჩა N1, ოზურგეთის რაიონის გამგეობა. ტელეფონი: (8296) 7-60-07.

სატენდერო კომისია







**მერდოქს ახალი კომპანიონი ჰყავს**

ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხოსე-მარია ასნარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მედიაკომპანიის დირექტორთა საბჭოში შედის.

Guardian-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ესპანელი პოლიტიკოსი რუბერტ მერდოქსი კომპანია News Corporation-ში ტომ-მენჯერის თანამდებობას იკავებს. ასნარი ერთადერთი დირექტორია, რომლისთვისაც ინგლისური ენა მშობლიური არ არის. News Corporation-ის დირექტორთა საბჭოში ამჟამად 14 ადამიანია.

რუბერტ მერდოქსს მიაჩნია, რომ პოლიტიკოსის პოლიტიკური გამოცდილება მის კომპანიას გამოადგება. კომპანიის დანარჩენი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ასნარის ახალ ბიზნესში ჩართვა მერდოქსისა და მის მეგობრულ ურთიერთობებს უკავშირდება. News Corporation-თან დაახლოებული პირები ამბობენ, რომ ესპანელი პოლიტიკოსის მოსვლა კომპანიაში ესპანური მედიის სექტორის დაპყრობის მცდელობასთან არანაირ კავშირში არ არის.

**ბერმანელი ეკოლოგები Daimler Chrysler-ს ურჩიან**


გერმანული ეკოლოგიური ორგანიზაცია Deutsche Umwelthilfe (DUH)-მა გერმანულ-ამერიკული კონცერნი Daimler Chrysler-ის წინააღმდეგ სასამართლოს მიმართა. ეკოლოგები კომპანიისგან ავტომობილ Smart-ის დიზელური ძრავის ახალი სარეკლამო კამპანიის შეწყვეტას მოითხოვენ.

DUH-ის ექსპერტების აზრით, სარეკლამო რგოლებში გამოყენებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება და მომხმარებლების მოტყუებას ემსახურება. ფირმა Smart DaimlerChrysler-ის შვილობილი კომპანიაა. რეკლამაში ნათქვამია, რომ მისი დიზელის ძრავიანი მოდელები მხოლოდ აირის გამწვანებულ ფილტრებით არის აღჭურვილი. საცდელმა გამოცდებებმა კი სრულიად განსხვავებული სურათი აჩვენა. აღნიშნული მოდელის ავტომობილები, სხვა ავტომანქანების მიერ შემოთავაზებულ ანალოგიურ მოდელებთან შედარებით, ატმოსფეროში 20-ჯერ მეტ კანცეროგენულ ნივთიერებებს გამოყოფენ. გერმანული ეკოლოგიური ორგანიზაციის პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ ამ მინიატურმოტივში გამოყენებული ენ "უმაღლესი ფილტრი" არასაიმედოა. ფირმა Smart-ის წარმომადგენლები პრეზენტაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ავტომობილები ყველაზე ნორმალურ აკმაყოფილებენ. რაც შეეხება გერმანული ეკოლოგიის სარჩელს, თუ რას მოსთხოვენ ისინი DaimlerChrysler-ს ჯერ ცნობილი არ არის.



**უცხოური ვალუტის ოფიციალური ქარსი ლართან მიმართებაში**

1	აშშ დოლარი	AUD	1.3117
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1.9833
1	არაბული დირჰამი	AED	0.4839
1	აფ დოლარი	USD	1.7774
1000	ბალარული მანათი	BYR	0.8296
1	ბრაზილიელი რეალი	BRL	1.1482
1	დანიური კრონი	DKK	0.3013
1	ეგვიპტური გირანა	EGP	0.3102
1	ევრო	EUR	2.2454
10	ესტონური კრონი	EEK	1.4357
1000	თურქმენული მანათი	TMM	0.3418
1	თურქული ლირა	TRY	1.0798
10	იაპონური იენი	JPY	0.1550
1	ინდონეზიური გირანა	IDR	3.2795
1000	ირანული რიალი	IRR	0.1941
10	იტალიური ლირა	ITL	0.2380
1	ისრაილული აკშატი	ILS	0.3988
1	კანადური დოლარი	CAD	1.5859
1	ლატვიური ლატი	LVL	3.1798
10	ლიტვიური ლიტა	LTL	6.4802
10	მოდური ლირა	MDL	1.3324
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0.2840
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0.5509
10000	რუსული რუბლი	RUB	0.5971
1	რუსული რუბლი	RUB	0.0658
1	სინაპური დოლარი	SGD	1.1174
100	სომხური დრამი	AMD	0.4234
1	ტაიური რუბლი	THB	0.5435
1000	უზბეკური სუმი	UZB	1.4524
10	უკრაინული ზრივია	UAH	3.5537
100	უნგრული ფორინტი	HUF	0.8102
1	ვაიკინგიური დოლარი	KWD	0.1470
10	ყაზახური ტენგი	KZT	0.1499
10	ყირგიზული სუმი	KGS	0.4411
1	ხვალისური კრონი	SEK	0.2442
1	ხვალისური ზარი	CHF	1.4395
1	ჩინური კრონი	CNY	0.0787
1	ჩინური იენი	CNY	0.2222
1	კორეული დოლარი	KRW	0.2289



# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

995 32 31 93 90  
995 32 31 93 86  
899 26 20 19

გამომცემის ოფიციალური პარტნიორები:



## მამუკა ხაზარაძე - "ბორჯომის" ეტიკეტის გამოყენებას ვერც ერთი კომპანია ვერ შეძლებს

რუსეთის ბაზარზე "ბორჯომის" "ბაგიათით" ჩანაცვლებას ცდილობენ

გაზეთ "კომერსანტის" ცნობით, კომპანია "სოლარის-აქვა" რუსულ ბაზარზე მინერალური წყლის "ბაგიათის" შეტანაზე მუშაობს. კომპანია, რომელიც მოსკოვში რეგისტრირებული და სასმელი და მინერალური წყლის წარმოება-რეალიზაციით არის დაკავებული, იყენებს მარკეტინგის ე.წ. პარტიზანულ სტრატეგიას - "ბაგიათის" ახალი ეტიკეტი "ბორჯომის" ეტიკეტს იმორებს.



- ექსპერტები ვარაუდობენ, რომ "ბაგიათის" სტრატეგია არ გამართლებს და ეტიკეტის შეცვლის მიუხედავად, "ბორჯომის" მაჩვენებელს ვერაფრით მიუახლოვდება, ვერ შეძლებს მომხმარებელთა მიზიდვას.
- იურისტების შეფასებით კი, "ბორჯომის" სიტუაციის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება შეუძლია. კომპანიას უფლება აქვს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმე აღძრას, ასევე შეუძლია მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

B2

## სახელმწიფო ინვესტიციები აბრარულ საქტორში

სოფლის მეურნეობის პროდუქტზე ნულოვანი საბაჟო განაკვეთი არ დაწესდება

ენო ნატროვილი

საქართველოს მთავრობა 2006-2007 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სახელმწიფო ინვესტიციებს განახორციელებს. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კვების პროდუქტების გადაამუშავებელი მრეწველობის კომპანიების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრისას განაცხადა.

- მზადდება ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რათა გადაამუშავებელ მრეწველობაში რეინვესტიციის სახით გაღებული თანხა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლდეს.
- მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ტექნოლოგიები და დანადგარები მთლიანად თავისუფლდეს საბაჟო გადასახადისაგან.



პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მხარდაჭერას უპირდება.

B2


## კარბი საკვები დიდი ფულია

Nestle-ს გემრიელი ჩიტები და მილიარდები

გოგა კიხიძე

ახლახან განთქმულმა ფრანგულმა გამოცემა "ეკონომისტის" მთელი ევროპის მასშტაბით გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანი მასებში ყველაზე ცნობილი საჭირო მარკეტის რეიტინგის დადგენა იყო. პირველი ადგილი საკვები პროდუქტების მწარმოებელმა შვეიცარიულმა კომპანია Nestle-მ დიდი უპირატესობით დაიკავა. მართლაც, ძნელად იპოვნით ადამიანი, რომელსაც Nestle-ს პროდუქტი არ გაუხიზვავს. იგი კვების პროდუქტების მწარმოებელი უმსხვილესი ევროპული კომპანია გახლავთ, Forbes-ის მიერ შედგენილ მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების რეიტინგში 50-ე ადგილზე და თავის სფეროში მხოლოდ ამერიკულ Altria Group-ს ჩამორჩება. Nestle-ს საბაზრო კაპიტალიზაცია 113,92 მილიარდი დოლარია, გასულ წელს კი მისმა მოგებამ 76,11 მილიარდი შეადგინა.

- ფარმაცევტის საქმი
- სოკოლადის გიგანტი
- ყავის რეპოლუცია
- მუდმივი ლიფარი



B3









ანდრეი შვერიაკოვი  
თმას წარსულიც გააყოლა



C3

"ჩაწყობილი თამაშები" -  
ბინდ დაიჭარათ, ბინდ - არა



C3

ბერძნული სპორტი  
და თასები



C4

### ოუანი მადლიტის დარბაზი

ინგლისის ნაკრების ტრავმირებული ფორვარდმა მაიკლ ოუენმა განაცხადა, რომ აუცილებლად დაბრუნდება გერმანიაში, რათა თავის გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის მედალი მიიღოს.  
როგორც იცით, 26 წლის ფორვარდს ჯვარედინი მყესები დაუზიანდა და, სულ ცოტა, ხუთი თვით დაემშვიდობა ფეხბურთს. მაიკლმა გერმანია დატოვა და ინგლისში გაემგზავრა სამკურნალოდ, თუმცა გერმანიიდან გაფრენის წინ ჟურნალისტებს განუცხადა: "ჩემთვის ჩემპიონატი უკვე დასრულდა, მაგრამ მედალს მაინც ავიღებ. სვენ გორან ერიქსონს უკვე ვუთხარი, რომ დავბრუნდები გერმანიაში, რათა გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონისთვის განკუთვნილი ოქროს მედალი მივიღო. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი და სვენის საუბარი ბოლო იყო. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ 9 ივლისს ინგლისის ნაკრები ფინალში ითამაშებს და მეც გუნდთან ერთად ვიქნები".

### რონალდინიოს კბილები ხალს არ უშლის

ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდინიო აცხადებს, რომ დიდი კბილები მას ფეხბურთის თამაშში ხელს არ უშლის. "მე დიდი და მაგარი კბილები მაქვს. ასეთი ლამაზი კბილები მხოლოდ მე მაქვს. ვიცი, რომ ზოგიერთი ამის გამო დამცინის, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ზოგს ჩემი კბილები ძალიან მოსწონს", - განუცხადა რონალდინიომ გერმანულ ჟურნალისტებს, რომელიც დაინტერესდა, თუ რატომ არ ისწორებს სუპერვარსკვლავი კბილებს.  
"იცით, ზოგჯერ მეტოქეებზე კი დამცინიან კბილების გამო. ამას უკვე შევეჩვიე, მაგრამ ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ფეხბურთისთვის კბილებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მე ფეხბურთს ვთამაშობ. ფოტომოდელი ხომ არ ვარ, საკუთარ გარეგნობაზე ვიზრუნო", - აცხადებს რონალდინიო.

### ინგლისელთა ცოლად გააყვანეს

დევიდ ბექჰემის მეუღლემ ვიქტორია ადამსმა დიდი ალიაქოთი მოაწყო ქალაქ კიოლის აეროპორტში. საქმე ისაა, რომ ინგლის-შვედეთის მატჩის შემდეგ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა ცოლები კიოლიდან ბადენში გაემგზავრა და გადარჩენილიყვნენ. სწორედ ამ საკურორტო ქალაქში დაიდეს ბინა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა მეუღლეებმა.  
კიოლი-ბადენი ბადენის რეისი კი რამდენჯერმე გადაიდო. სწორედ ამან განარისხა ყოფილი პოპ-ვარსკვლავი და აეროპორტის მომსახურე პერსონალს ერთი ამბავი აუტყვა. თუმცა, ვიქტორია საკუთარი კომფორტის გამო არ ჩხუბობდა - მას რიო ფერდინანდის ორსული მეუღლე აღარდებდა. 25 წლის რებეკა ელისონმა მსოფლიო ჩემპიონატის პერიოდში უნდა იმობიაროს, მაგრამ მაინც გააყვანა მეუღლეს მუდიალზე.

### ბლერმა პრემიერის მოვალეობა შეიტანა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი იძულებული გახდა გარკვეული დროით შეეთავსებინა სვენ გორან ერიქსონის ფუნქციები. საქმე ისაა, რომ ტონი ბლერი ბი-ბი-სის რადიოარხზე მიიწვიეს სტუმრად. ჟურნალისტის კითხვებთან ერთად ბლერი მსმენელთა შეკითხვებსაც პასუხობდა. ერთ-ერთი მსმენელი დაინტერესდა, ტონი ბლერის აზრით, როგორი სქემით უნდა ითამაშოს ინგლისის ნაკრებმა.  
ტონი ბლერის აზრით, ნაადრევია ნაკრების კაპიტნის დევიდ ბექჰემის შემცვლელის ძებნა. პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ ინგლისის ნაკრები კარგ ფეხბურთს თამაშობს და მისი სათავეში სქემაც აკმაყოფილებს. "მთავარია, რომ ჩვენს გუნდს მხარში ამოუდგეთ", - აღნიშნა პრემიერმა. 50-წლიანი ინტერვიუს დროს ტონი ბლერს ძირითადად საფეხბურთო შეკითხვებს აძლევდნენ. როგორც გაირკვა, ტონი ბლერი კლუბ "ნიუკასლის" გულმემატკივარი ყოფილა. მან საკუთარი თავი სვენ გორან ერიქსონის შვიდარა, უინ რუნი კი - ეკოლოგიის მინისტრს დევიდ მილიბენდას. თურმე ტონი ბლერს არ მოსწონს, რომ ფეხბურთელებს ასტრონომიულად დიდ ხელფასებს უხდიან, თუმცა ბრიტანეთის პრემიერმა არ იცის, როგორ შეიძლება ამ საკითხის გამოსწორება, რადგან ხელფასებზე ლიმიტის დანერგვა არასწორად მიაჩნია.  
ბლერმა ერთ დეტალსაც გაუსვა ხაზი: "აღფრთხილებული ვარ მწვრთნელებით. ისინი ნამდვილი დიპლომატები არიან. მათ მშვენივრად შეუძლიათ საქმე ისე წარმოაჩინონ, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ", - აღნიშნა ტონი ბლერმა.

### ალტარნატიული ფინალი არ შედგა

ოთხი წლის წინ ჰიმალაებში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ალტარნატიული ფინალი. ორი გუნდი, რომლებიც იმ მომენტისთვის ფიფას რეიტინგში ბოლო ორ ადგილზე იყვნენ, მსოფლიო ჩემპიონატის ალტერნატიული ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.  
მონსერატის კუნძულების ნაკრები ბუტანის ნაკრებს შეხვდა. მონსერატმა გაიმარჯვა - 4:0. მატჩის შემდეგ ორივე გუნდის ფეხბურთელები ერთად უყურებდნენ, თუ როგორ ამარცხებდა ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გერმანიას. როგორც ოთხი წლის წინ, ამჯერადაც იგეგმებოდა ალტერნატიული ფინალი, მაგრამ ფიფას რეიტინგში ბოლო, 205-ე ადგილზე მყოფმა ამერიკული სამოას ნაკრებმა უარი განაცხადა დაუპირისპირდეს 204-ე ადგილზე მყოფ ტორკისისა და კაიკოსის კუნძულებს.  
საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ამერიკული სამოას ნაკრები გუნდი ავსტრალიას შეხვდა და დამარცხდა - 3:1.

## "მოვიბაით ფიოლა..."



მერვედფინალში ბრაზილია განს შეხვდება.

არ ეშველა იაპონიას არაფერი. დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი საქართველოში ბრაზილიელების უნარზე, დაეხმარონ მეგობარს. კერძოდ, პერიოდში საჩუქარი უძღვნას თანამემამულე ზიკოს და ხონჩით მიარეგებს მას სამი ქულა, მაგრამ არ გამოვიდა ასე. პერიოდში ამ მითქმა-მოთქმების საპასუხოდ უძლიერესი შემადგენლობა შეაგება იაპონელებს და ზიკოს გუნდს მანსი არ დაუტოვა.  
არ დაუტოვა იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მეტისმეტად უხერხულია თამაშების ჩანყობა-გაყიდვა და ვაჭრობა, რადგან საქმე ქვეყნის ღირსებას ეხება. თან, უხერხულობა მით უფრო დიდი გამოვიდოდა, მსოფლიო ჩემპიონატის ჩემპიონ ბრაზილიის იაპონიასთან რომ წაეგო. ამ უხერხულობას პერიოდად ავირდა და სკეპტიკოსებსაც ამით ჩააქმენდინა ხმა.  
თამაშით კი ბრაზილიამ ჩვეულ სტილში აუღელვებლად ითამაშა. რომ იტყვიან, ისე მოიგო ოფლიც არ გამოსვლია. თუ ბრაზილიელთა სიძლიერეს და ამ გუნდების ურთიერთმეხვედრების სტატისტიკას მოვიშველებთ, ნათელი იყო, რომ პენტაკამპონებს არ გაუჭირებდათ იაპონელთა დამარცხება.  
ანგარიში თამაშის 34-ე წუთ-

ზე თამადამ გახსნა. მშვენიერი კომბინაცია გამოუვიდათ იაპონელებს და თამადამაც ზუსტად შეასრულა დარტყმა. ეს იყო იაპონელთა მთელი მონაგარი ამ მატჩში.  
ტამის ბოლოს რონალდომ აღადგინა ნონასწორობა. მეორე ნახევარში კი ფუნინიომ, ფილბერტომ და ისევ რონალდომ ანგარიში გამანადგურებელი გახადეს - 4:1 ბრაზილიის სასარგებლოდ და პენტაკამპონები მერვედფინალში განის გუნდს შეხვდებიან, რომელმაც ნამდვილი სიურპრიზი შესთავაზა საფეხბურთო სამყაროს და ჯგუფში ჩეხეთის გუნდი ჩატოვა.

იაპონია - ბრაზილია 1:4
იაპონია: კავაგუჩი, ნაკატა, ოგასავარა (კოჯი ნაკატა, 56'), ნაკამურა, მაკი (ტაკაჰარა, 60'/ოგური, 66'), სანტოსი, ინამოტო, ცუბოი, თამადა, კაჯი, ნაკაზავა.
ბრაზილია: დიდა (როჯერიო, 82'), ლუციო, ფუანი, კაკა (ზე რობერტო, 71'), რონალდო, რონალდინიო (რიკარდინიო, 71'), სისინიო, ფილბერტო, ფილბერტო სილვა, ფუნინიო, რობინიო.
გოლები: 1:0 - თამადა (34'), 1:1 - რონალდო (44'), 1:2 - ფუნინიო (53'), 1:3 - ფილბერტო (59'), 1:4 - რონალდო (81').
გაფრთხილება: კაჯი, ფილბერტო
მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი).
9 კარის დარტყმა 21
3 კარის კენ დარტყმა 14
9 ჯარიმა 6
3 კუთხური 11
4 თამაშგარე 0
40 ბურთის ფლობა 60
მატჩის საუკეთესო მოთამაშე: რონალდო





